

# ქვეყნის

1993  
სათხაბათი  
24  
ივნისი  
№25 (10616)  
ფასი 5 ლარი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი      გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

## ერთიანი კავკასია უძლეველია

მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც აქამდე შექმნილი ვითარების დრამატიზებას მიმართავენ ხოლმე. მავანი გატაცებულია ისეთი ტერმინების წარმართებით, როგორც: ცა მეორედ მოსვლა, აპოკალიფსისი, შორისკობების ავბედითი გათვლება, ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებანი და ა. შ. შესაძლოა, აღნიშნულ მოვლენებში ერთიანი კავკასიის მარცხვანი, მაგრამ ისტორიული პროცესების რეალისტური ხედვა საჭიროა და არა მისტიფიკაციის გატაცება.

ავიღოთ თუნდაც დრამატული მოვლენები, რასაც კავკასიაში

აქვს ადგილი. ეს რეგონი, ჩვენ და სავალალოდ პლანეტის ერთ ერთ ცხელ, ფეთქებად საშიშ წერტილად არის მიჩნეული, უკვე მერამდენე თვეა აღარ თავდება ძმათაშორის რაიმე აფხაზ-ეთში, რომელიც არც ქართველ და არც აფხაზ ხალხს არ სურს, მაგრამ თავის ბნელ საქმეს აქეთებს სეპარატისტული ვენებათა დედა, ასე მზაკვრულად წაქეზებული მესამე ძალის მიერ.

დიდი პოლიტიკური განსწავლულობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, თუ რა ძალები ბოზობობენ აზერბაიჯანსა და ჩეჩნეთში. აქ ენერგიულად ამოქმედდნენ და ხელისუფლებას წა

ეპოტინენ ნეოკომუნისტური ძალები, რომელთაც ძველი რეჟიმის რესტავრაცია განუზრახავთ. მათ უკან კი დგას რუსეთის რეაქციული ძალები, რომელთაც ათასწიერი პოლიტიკური ავანტიურების, შანტაჟების და ეგვიპის და განხორციელების უღიღესი გამოცდილება გააჩნიათ.

ან როგორ ებრძვის ევრეთწოდებული ცრუოპოზიცია ჩეჩნეთის კანონიერ ხელისუფლებას, პრეზიდენტ დუდაევს. სურთ დააკარგვინონ დამოუკიდებლობა ამ აქ ჩეჩენ ხალხს.

ყველაფრიდან ჩანს, რომ რუსეთის იმპერიული ძალები არ

ელევიან კავკასიის რეგიონს. მათი მიზანია ისევ თავიანთი გავლენის სივრცეში დატოვონ კავკასიის რესპუბლიკები. მაგრამ ამ განზრახვას არა მგონია, განხორციელდეს ეწეროს. პოლიტიკა მხოლოდ პრეტენზიების და ამბიციების რეალიზების სფეროა როდია. მას აქვს თავისი შინაგანი კანონომიერებანი, რომელიც ისტორიის მსვლელობას ესადაგება. პატარა ერების თვითგამორკვევის ძლევა მოსილი, ბუნებრივ პროცესს ვერაფერი დაუდგება წინ.

მჭერა, დადგება ის დღე, როცა კავკასიელი ხალხები გაერთიანდებიან და შექმნიან საერთო სახლს, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციაში თავის წინადასტურებად წაიყვანს.

ბ. პაპაშვილი

## მღელვარე მოვლენების კვალდაკვალ

### გოლომდე ნლობა პრეზიდენტის

კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო, — ნათქვამია. ამ შეგონების ასოციაციას იწვევს აფხაზეთში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენები, რომელშიც პერმანენტული ხასიათი მიიღო. 14 მაისის შეთანხმებაც წყალზე დაწერილი აღმოჩნდა სხვა წინამორბედი დოკუმენტებით, რაც საომარი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარღვევების პერსპექტივას ეჭვის ქვეშ აყენებს.

მითი აღმოჩნდა მტკიცება იმის შესახებ, რომ გაეროსა და რუსეთის სამშვიდობო ძალები ფლობენ აფხაზეთის კონფლიქტის ცივილიზებული საშუალებებით მოგვარების პერსპექტივას. ამ დღეებში კვლავ სკდება ჭურჭები და ბომბები სოხუმში, ილუბებიან ადამიანები. ნაკლებად დამარწმუნებელ ტონალობას იძენს ყოველგვარი ფონზე სახელმწიფოს მეტაფორის ვარაუდები, თითქოს აფხაზეთის კონფლიქტისადმი ბოლო დროს რეალიტურ მიდგომას იჩენდეს რუსეთის მთავრობა. ეს თუ ესეა, მაშ რას მივაწეროთ სოხუმის მასობრივი რბევა?

გარკვეულ გაორების გრძობას, ეჭვსაც კი იწვევს რუსეთის დელეგაციის ამასწინანდელი სტუმრობა თბილისში საგარეო საქმეთა მინისტრის ა. კოზირევის მეთაურობით. ელიან ბატონ ბორის ელცინის ჩამობრძანებასაც, რას უნდა ნიშნავდეს ამ დონის ვოიაჟები გაპარტახებულ-შეურაცხყოფილ საქართველოში, მით უფრო მაშინ, როცა დღესათვის ნათელია, საიდან მოდის ამდენი უბედურება? მიამიტობა იმაზე ფიქრი, რომ „ჩრდილოელ ქმებს“ ჩვენი გაპირებიდან გამოყვანა ადარდებდეთ.

ამიტომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, ქართველებო. ნულარ ვენდობით ბოლომდე საკუთარი ინტერესებისათვის ყველაფრის მკარებელ რუსეთს.

ბ. პაპაშვილი

## ცნობები აღვიღებდნენ

### უჭირთ ცხოვრება და შრომა

ახლა „ნობათებს“ არაინ პირდება სამშობლოს, არაინ არ ევიბრება“ არაის, ქვეყნად არსებული მდგომარეობა ყველაზე მეტად აზარალებს საწარმოებს. უჭედდში მოქმედი საბოლოდ საწარმოც დახურვის კარამდე მისული, გამოკვეთილად რომ ვთქვათ, ჩაის კომბინატ „ოლიმის“ ბედიც სასწორზე...

კომბინატში მეორე წელია არ შემოდის ნედლეული. დღემდე აფასობენ წინა წლებში მიღებულ მასალას.

ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში არ მზადდება ნედლეული და არ შემოდის ჩაის ფაბრიკებში, მიანიშნებს იმაზე, რომ სულ რაღაც ორიოდ უკვე და გაჩერდეს წარმოება.

უქმად დგას ძვირად ღირებული ტექნიკა, რომლის წარმადობა გაცილებით მეტია, ვიდრე დღეს უშვებენ. კომბინატს საწარმის დეფიციტის გამო უჭირს

პროდუქციის რეინვიზაჟი მიტანაც. მათვე ნაკლებად (თბილისიდან) მოეწოდებათ ეთიკეტები, ენგურქალაქადკომბინატთან კი გოფირებული ყუთები და ფილტრები.

მიუხედავად უამრავი თავსატეხი პრობლემებისა, ხუთ თვეში გამოშვებულია 262 მილიონი მანეთის პროდუქტია. შემკვეთი კანონმდებლებს ვადაუგზავნა 1045 ტონა დაფასობელი ბაისის და მწვანე ჩაი.

მუშებს ხელფასის სახით, გამოუშვების მიხედვით ეძლევათ 8 ათასიდან 20 ათასამდე.

ქალაქში, სადაც არ ცხვება პური, არ არის გაზი და წყალი, უჭირთ ცხოვრება და შრომა მუშებს. ფანტასტიკურად გაძვირდა ბაზარი, დაეცა კუპონების ღირებულება. მაგრამ ადამიანები მინც არ ეცემიან სულით, ეჭიდებიან სიძნელებებს და სჭერათ, რომ ერთიანი ძალისხმევით ქვეყანა ისევ დადგება ფეხზე.

## გარდატახტისათვის ყველა უნდა ვიბრძოლოთ

ამასწინათ, ზუგდიდის დრამატულ თეატრში გაიმართა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების შეხვედრა ქალაქის და რაიონის საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, სოფლის მეურნეობის სეციალისტებთან, ფართო აქტივთან.

სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ სოსო ლავილიამ მიმოიხილა სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური ვითარება რაიონსა და ქალაქში. შემოფოთებით ითქვა იმ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისზე, რომელსაც სადღესოდ განიცდის რეგიონი.

სოციალური პრობლემების გაუმჯობესების გზებზე და სამომავლო ამოცანებზე ყურადღება

გამახვილეს სიტყვით გამოხსულება, ბატონებმა: ვახტანგ ქობალიამ, ვალერი გაბელიამ, გურამ მაქაცარიამ, გურამ წულაიამ, ოთარ ჭანიამ, ლერი ჭითანავამ, ბორის ლომიამ, ფრიდონ ქადარიამ, კოტე წურჭუშიამ, თორნიკე ბერაიამ და სხვებმა, რომელთა გამოსვლებში გამოიკვეთა კონსტრუქციული, დაუყოვნებლივ თავმოსაბმელი პრაქტიკული დონის ინიციატივის გატარების აუცილებლობა, რომელთაც სასიკეთო გარდატეხა უნდა იქნას შეტანილი შექმნილი პირქუში, გაუსაძლისი პრობლემების დარღვევების საჭეუბნი.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს რიგი კმედითი დოკუმენტები აღნიშნული უმწვავესი მდგომარეობიდან თავის დაღწევის უზრუნველსაყოფად.

## სოხუმის ისევ უშენენ

ისევ შემაშფოთებელი ცნობები მოდის აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან, არ ცხრება სიძულვილის დემონი. აფხაზი სეპარატისტები, რომელთა უკან რუსეთის იმპერიული ძალების მზაკვრული მხარდაჭერა ილანდება, ისევ უტყვენ ქართველთა პოზიციებს. ქალაქი სოხუმში უკვე მერამდენედ მასობრივი საარტილერიო ჭურჭების სამიზნე ხდება, ნადგურდება ქალაქი, მისი ნაგებობები, თვალწარმტაცი ბალები, სკვერები, გაზონები. იღვრება ადამიანთა სისხლი.

როგორც საინფორმაციო წყა

როები იუწყებიან, სოხუმში იმყოფება საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, თვით თავდაცვის მინისტრი გიორგი ყარყარაშვილი. დიდი და პატარა, მთელი ქალაქის მოსახლეობა მტკიცედ დგას თავისი საცხოვრისის დასაცავად.

სანამდე უნდა ვაგრძელებს ეს

## პროვნილი საქმის საკითხილდელი

ჩატარდა ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ეკონომიკის“ ზუგდიდის საკრებულოს მორიგი კონფერენცია. განხილულ იქნა გეგმიური მუშაობის ანგარიში და სხვა აქტუალური საკითხები. კამათში მონაწილეობდნენ სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ეკონომიკის“ პრეზიდენტი ვალერი გაბელია, ეროვნული მოძრაობის ფელსაჩინო წარმომადგენლები,

ბატონები: ზაურ ქობალია, ბიძინა დანგაძე, ვანო ტურაშვილი, გურამ მაქაცარია და სხვები.

არჩეულ იქნა საკრებულოს გამგეობის და სათათბიროს ახალი შემადგენლობა. კონფერენციამ საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩია გონელი არახშია.

განხილულ საკითხებზე მიღებული იქნა შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტები.

**ენვერ ქობალიას დამკრძალავი კომისიისაგან**

დაკრძალვა შედგება შაბათს 26 ივნისს, დღის 3 საათამდე ქობალიას ნეშტი დასვენებული იქნება თავის ბინაში სოფ. ოლიმში. დღის 3 საათიდან გადმოსვენებენ დადიანის კარის ეკლესიაში, სადაც გადაუხდელი პარაკლისს, საღამოს 6 საათზე თავისუფლების მოედანზე ჩატარდება გამოსათხოვარი მითინგი, რომლის დამთავრების შემდეგ პროცესია გაემართება მაცხოვრის კარის ეკლესიის სასაფლაოკენ, ე. ქობალია დაიკრძალება სამხედრო პანთეონში.







ჰენრი, ვინ მოდის მანდ...

მოგაზლიდან?

# ოცდამეერთე

მეცნიერებს, ასტროლოგებს, წინასწარმეტყველთ თუ უბრალო, რიგით ადამიანებს მოსვენებას არ აძლევს ფიქრი სვალინდელ დღეზე. გადარჩება სისხლით დატბორილი მსოფლიო? როგორ გათენდება ცოდვა-მადლით დაძვინძვულ დედამიწაზე ოცდამეერთე საუკუნე.

ამ დღეებში, განათლების სამინისტრომ მეორე მეთექვსმეტე კლასელებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე შესთავაზა თემა ასეთი სათაურით „ოცდამეერთე...“ განათლების განყოფილების ხელმძღვანელობის დახმარებით ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით რამდენიმე ნამუშევარს. ვფიქრობთ, არც ჩვენი მკითხველისთვის იქნება ინტერესმოკლებული კურსდამთავრებულთა ნამუშევრებიდან ყოველგვარი კომენტარის გარეშე ამოღებული მცირე ამონა-რიდებისთვის თვალის გადავლება.

„ახლა ერთი წუთით გადავინაცვლოთ იმდინ და სიყვარულით აღსავსე ოცდამეერთე საუკუნეში. მის ცისფერ ფონზე იშლება ათასწორად აპრელეზული და საოცრად ლამაზი ჩვენი პატარა საქართველო. კლავინდებურად შავი ზღვა და ჩაფიქრებული კავკასიონის ქედი, კოლხეთის დაბლობი და ალაზნის ველი, მესხეთ-ჭავჭავთეთი და ნებისმიერი კუთხე საქართველოსი, ისევე ქართველი და მისი მებრძოლი სული, ცხოვრება კი სხვაგვარი უხვი, ბედნიერი და დოვლათიანი. ვხედავ საქართველოს გამწვანებულს როგორც არასდროს. ყველგან ისმის მაგლობელ ფრინველთა ტბილი იავენანა. ზღვა და მდინარეები ისევე და ისევე სახება თევზით. ტყე კი გამოჭედვილია აუარებელი ცხოველ-ფრინველით. ცის ფონზე ლივლივებს ყოველთვის მრისხანე გამოხე-

ღვის შქონე არწივი. ზეცა სახვებით მშვიდად დასცქერის ტაძრის გაცისკროვნებულ გუმბათს. თავად ტაძარი კი გულს უღერებს აუარებელ მრევლს, რომლებიც მას ყველა მხრიდან უახლოვდებიან. სადაც შორს ბებერი ქადრის ძირში განმარტოებულა ახალგაზრდა წყვილი, რომელთათვისაც ისედაც ლამაზი ქვეყანა სამოთხე გამხდარა.“

„ერთ მშვენიერ დღეს, მზე ეღარ დაიტევს ამდენ სისხლს, გული გაუსკდება და საუკუნეთა მანძილზე დაგროვილ სისხლს გადმოღვრის დედამიწაზე. ეს სისხლი მყინვარწვერზე ყინულს გააღნობს, დედამიწაზე ქუჩებს ჩამორცხს, თითოეული ადამიანის გულს შექრავს და... ადამიანები დაინახვენ რამოდენა ცოდოს იკიდებენ ზურგზე, შეიგროვებენ

ბუნების სილამაზეს. გაიგონებენ ფრინველთა გალობას და ყვავილთა კისკისს. შეებრალებათ უღებოდ დარჩენილი შვილის ხუკრი და ხმელი წიფელი. ვაჟახებ მრავლისმეტყველი იქნება მათთვის კლდის ღიმილი. გადახედავენ განვლილ ოც საუკუნეს და შერცხვებათ. სინანული მოიცავს მათ არსებობას. სინანული და სიყვარული. დაინახვენ შემოქმედს. იგროვებენ, რა დიდი სიყვარული და პატიება სცოდნია მას... ადამიანები ჩასტიდებენ ერთმანეთს წილებს და მათ თვალთაგან იწვიმებს ცრემლები. ცრემლები სინანულის, სიყვარულის... და დაერქმევა ოცდამეერთე საუკუნეს „სიყვარულის საუკუნე“ დედამიწაზე არ იქნება სიპულილი და ბოროტება, მაშინ ახდება ილიას ოცნება— შრომის სუფევა მოვა.“

„მოდის ოცდამეერთე. არ ვითხოვ არაფერს ახალს, მინდა და ისევე ის ძველი და ისევე ის ათი მცნება. ამისთვის უნდა ილოცოს საქართველომ... და ლოცვა არ უნდა იყოს ფარი, არამედ სულის სიღრმიდან ამოკვეთილი სიტყვები. მხოლოდ მას შეისმენს უფალი...“ ლოცვა ვისწავლოთ... ღმერთი დუმს და იქნებ გვაპატიოს ძველი ცოდვები, პირი იბრუნოს ჩვენკენ... „შენ ხარ ქრისტე ღმერთო ჩემო, აღავსე სიხარულითა და მხიარულებითა მთელი საქართველო და აცხოვრე ერი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მრავალმოწყალე“.

„სულ რაღაც შვიდიოდე წელიწადი და ოცდამეერთე საუკუნეში შევაბიჯებთ. იგი რატომაც კეთილი ფერია მგონია, რომელიც ამ საუკუნის პირველსავე დილას მესტუმრება, გამოიხმებს და შეტყვის: შენ გჭეროდა მისი და ისიც მოვიდა და თანაც ისეთი, როგორიც გწამდა. მე ამ ფერისა უფრო ვიგრძნობ, ვიდრე ვნახავ. ეს იქნებ მეოცნებე გოგონას მიერ დანახული სამყაროა, რომელსაც სინამდვილეს მკაცრი გული და გაუინული თითები დამსხვრევას უპირებს? რამდენად ამტაცია ოცნება და ფიქრი, იმდენად დაუნდობელია რეალობა. ოცდამეერთე საუკუნეში კი ოცნებისა და სინამდვილის დაახლოება უნდა მოხდეს.“

„გამიგონია „დაცემას ამაღლება მოჰყვება“ და მწამს, რომ 21-ე საუკუნეში, დაცემული საქართველო ფენიქსისებრ აღდგება და დაადგება აღორძინებისა და აყვავების გზას. საქართველოს ხსნა მხოლოდ მომავალ თაობაშია. ვფიქრობ, ოცდამეერთე საუკუნეს ჩვენი შემდგომი თაობა საქართველოს ყოველმხრივი გაფურჩქნისა და აყვავების საუკუნეს უწოდებს. ჩემი ოცნებაა ოცდამეერთე საუკუნეში საქართველო ნამდვილად თავისუფალი, დამოუკიდებელი იყოს.“

„მჭერა, დადგება დრო და საქართველოში არ გავიგონებ სროლის ხმას. არ გავიგონებ, რომ ვიდაცამ ვიდაც გაქურდა და ხალხი დახოცა. არ გავიგონებ, რომ დედა

შვილისთვის საკმელს ვერ ყიდულობს, არ გავიგებ, რომ ბიჭებმა შური იძიეს“. მწამს საქართველოს ნათელი მომავლის, როცა ქუჩაში გაისერიან და მშვიდი ნერვებით დაბრუნდები შინ, ქალაქში გასულს შემოგვხვდება უცნობი და გაგილი მებს. როცა ღიმილი არ გავიკვირდება, როცა მოლხენა არ მოგერიდება, როცა ქართული ქართველობას დაფასებს, სარწმუნოებასა და ენას მიაჩნებს ღირსეულ ადგილს...“

„ოცდამეერთე... უკვე ზღურბლთან ვდგავართ. თითქმის განგებ აღარ გვაძლევენ დროს განსაქვრტად. მტერი არ თვლემს. სასტიკად ცდება. ქართველს აქვს თავისი მიზანი, მშვენიერი, ქეშმარიტი და სულის შემძვრელი საიდუმლო. აქვს თავისი სათქმელი კაცობრიობისთვის, ამიტომაც იბრძვის ასე თავგანწირული თავისუფლებისათვის. მე მჭერა, რომ ეს სათქმელი გაცნობიერებული ჰქონდა უკვე პირველ ქართველს და ქართული ნერვით ტოკავდა ყოველ ქართველში და მოსვენებას არ გვაძლევდა, ძილს გვიტოვებდა, ბედთან გვაბრძოლებდა. ჩვენ თუ არ ვიქნებით თავისუფალი, თვითმყოფადნი, ფერი დააკლდება სამყაროს, ძალა — ქეშმარიტებას. მე მჭერა, რომ ამ სათქმელს კაცობრიობას ჩვენ სწორედ ოცდამეერთე საუკუნეში ვებტყვი. თანაც ქართულად და ადვანსრულბოთ ჩვენი დიდი წინარების, ყველაზე დიდი ქართველების ოცნებას. მაშ, იყოს უკვდავი ჩვენი სველა ისტორიის მარადიულ გზაზე!“

### საქართველოს იყოს სახელი მისი

ვინც ჰიბრში უღდას ხალხის რჩეულებს, ვისაც გულში აქვს რამ საძრახისი, ვინც ძმათა შორის შურს ამზურებს, წყეულიმც იყოს სახელი მისი ვინც ერისკაცის მანტიას ირგებს ქვენა გრძობების მიჩქმალვის მიზნით. ვინც ბრძენი კაცის რჩევას არ იგებს წყეულიმც იყოს სახელი მისი ვინც საკუთარი განდიდებისთვის სამშობლოს უმალ გასწირავს მზისით, ვინც იბრძვის მხოლოდ გამდიდრებისთვის, წყეულიმც იყოს სახელი მისი ვინც რწმენისათვის თავს არ გასწირავს და არად უჩანს ტკივილი მისი, ვინც მოძმეს თვისას ტყვიით განგმირავს, წყეულიმც იყოს სახელი მისი ვინც ცდილობს გემი ნაპირს გარეყოს, ვინც კამიტობას იჩემებს, წყეულიმც იყოს სახელი მისი ვინც კამიტობას იჩემებს, წყეულიმც იყოს სახელი მისი

გივი ძმალაია, კ. გამსახურდიას საზოგადოების აბაშის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ამ რუბრიკით მკითხველებს რეგულარულად მივაწვდიტ მასალებს საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური ურთიერთობების საკვანძო საკითხებზე. ვფიქრობთ, აღნიშნული პუბლიკაციები დაეხმარება მათ ეკონომიკური ცოდნის გაღრმავებაში.

თეორიულად ნებისმიერ სახელმწიფოში ბრუნვაში უნდა იყოს ქალაქის ბანკოტები, ან მისი შემცვლელი ნიშნები იმ რაოდენობით, რამდენიც შეესაბამება ოქროს არსებულ მარაგს, ვინაიდან ბანკოტები სიმბოლურად წარმოადგენს ოქროს. პრაქტიკულად აღნიშნული პირობა არ ხორციელდება. მაგალითად, აშშ-ში 1945 წლის შემდეგ მიმოქცევაში არსებული ქალაქის ბანკოტების მხოლოდ 25 პროცენტი იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი ოქროს მარაგით.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ზოგიერთი ისტორიული ცნობა ქართული ფულის შესახებ. საზღვარგარეთთან საქართველოს ისტორიულ კავშირებს მოწმობს ის ძველი მონეტები, რომლებიც მოჭრილია სხვა სახელმწიფოებში, ნაპოვნია საქართველოს ტერიტორიაზე და დაცულია ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. მთელს რესპუბლიკაში ანტიკური პერიოდის მონეტებიდან აღსანიშნავია კოლხური

## ვისაუბროთ ეკონომიკაზე შეიძინე მეურნეული თვისებაები

თეთრა, რომელიც მოჭრილია ძველი წელთაღრიცხვის მეტრ-მე-3 საუკუნეებში. პარალელურად საქართველოში აღმოჩენილია ბერძნული, ეგვიპტის, ბოსფორის სამეფოს, პართიული, სასანური მონეტები. საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდის დავითის მეფობის დასაწყისში საქართველოში იჭრებოდა ბიზანტიური ტიპის ვერცხლის მონეტები. საქართველო დავით აღმაშენებლის დროს ეწეოდა გაცხოველებულ ვაჭრობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან (არაბეთთან, ბიზანტიასთან, იტალიასთან, ეგვიპტესთან, ირანთან, ინდოეთთან). გაქონდათ შალი, ბამბა, აბრეშუმის ნაწარმი, ხალიჩები, კერამიკული და საოქრომქედლო ნაწარმი. თბილისში ვაჭრობისათვის გავრცელებულ

აღმოსავლეთ გერმანიაში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს აქტიურ სავაჭრო კონტაქტებზე საზღვარგარეთთან. დავით აღმაშენებლის დროს განხორციელდა ფულის რეფორმა აღმოსავლურ ყაიდაზე, ვინაიდან იმ პერიოდში აღმოსავლურ ქვეყნებთან კონტაქტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შეიცვალა ფულის გარეგანი სახე. მონეტაზე გამოსახული იყო ცხენოსანი მეფე და არაბული წარწერა: „მეფეთა მეფე დავით გიორგის ძე მესიის „მავსილი“. ამით ქართველი მეფე ხაზს უსვამდა ქართველი ხალხის ერთგულებას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. დავით აღმაშენებლის დროს ვერცხლის ფული შეიცვალა სპილენძის მონეტებით. პარალელურად საქართველოში მიმოქცევაში გამოშვებული იყო სპილენძის მონეტა, რომელსაც

ნეთის ეროვნულ მუზეუმში. აღნიშნული სახის მონეტა უმთავრესად გამოიყენებოდა ქვეყნის ფარგლებში ვაჭრობისთვის. ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ნუმისმატიკის ფონდში მოთავსებულია სპილენძის მონეტა, რომელზეც იკითხება თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის სახელი. მონეტაზე არაბულ ენაზე იკითხება: „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი“. დამოუკიდებელ საქართველოში გამოშვებული ფულს ეწოდებოდა ნიშნები მოკლე დროში იქცა ყველაზე მტკიცე ფულის ნიშნად მთელს ამიერკავკასიაში.





# „ჩვენ ქუბორღაუფა, ჩემო საქართველო...“

მიმე დღეები უღვას საქართველოს. მაშინ, როდესაც ასეთი განუკითხაობა სუფევს, როცა ასე უმოწყალოდ იღვრება სისხლი, როცა ადამიანები შიმშილისაგან იღუპებიან, როცა ასეთი დათრგუნულია ჩვენი სულელები ამდენი ჭირ-ვარაშით, ცხადია, არავის ემღერება და ეცეკვება (არსებობს გამოკაცობებიც—საქართველოს „ჩვეულები“).

დღეს ჩვენი დაუმორჩილებელი ქალაქი, მისურულია თეატრის კარები, არ ისმის ახალგაზრდების ჩვეული ხმაური კინოთეატრებთან, გამოცარიელებულან ბიბლიოთეკები, ადამიანები თავიანთ დარდთან განმარტობულან, გლოვობენ თავის (უკვე მერამდენე) უდროოდ დაღუპულ ვაჟაკებს...

—ცხადია, ასე გავრძელება არ შეიძლება.— ამბობს ზუგდიდელთათვის კარგად ნაცნობი, თბილისელი მსახიობი კახა მიგინეიშვილი.— დღეს როცა ასე გვიჭირს, როცა ასე იმძლავრა უწუნობამ, როცა ასე მოგვეძალა ამდენი ყოფითი სატიკვარი, ხალხს სულიერი საზრდო, მართალი და თამაში სიტყვა, მხარში ამოღვამა სჭირდება.

—ბედნიერი ვარ,— განაგრძობს ბატონი კახა,—რომ ასეთ დროს, როცა საქართველო უმოწყალოდ იყიდება, იხრტიება, ირბევა, როდესაც ციხეები საგვება პოლიტაპტიმრებით,

ასეთ ეროვნულ კუთხეში, ასეთ ეროვნულ ქალაქში ეროვნულ თეატრე მიწვეს თეატრთან თანამშრომლობა...

დაიხ, ზუგდიდის თეატრი პრემიერისთვის ემზადება. შემოქმედებითი აღტინება დაუფლეთა დასის თითოეულ წევრს ხორციელდება მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია „იენ ქუგორღაუფა, ჩემო საქართველო“, რომლის ავტორები არიან ანზორ გვარამია და რენე კალანდია.

—ზუგდიდის თეატრმა აუცილებლად უნდა იმუშაოს, —ამბობს ბატონი რენე— ყოველივე ის, რაც ასე აწუხებთ ადამიანებს, შთაბეჭედავად უნდა იქნას თქმული სცენიდან... ჩვენ, ზუგდიდში მყოფი შემოქმედნი ახლა კონტაქტებს ვპირდებით ზუგდიდელ მსახიობებს... აგრ ახლაც ათაოდ დღეში ზევქმენიო ეს კომპოზიცია მე და ბატონმა ანზორმა. იგი საქართველოს ერთიანობის იდეას ემსახურება და ეძვნება საქართველოში კანონიერების აღდგენისათვის დაღუპულ ჩვენს გმირებს. მას დგამს ნიჭიერი ახალგაზრდა კახა მიგინეიშვილი, როდესაც ჩვენი ეროვნული მოძრაობა იცნობს, როგორც კეთილშობილსა და უკომპრომისო პიროვნებას...

—ცოტა უჩვეულოა რეჟისორის ამბულა ჩემთვის,— დასძენს ბატონი კახა,— მე

ხომ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ვარ, რომელმაც პროტესტის ნიშნად დავტოვე იქაურობა... ზუგდიდის თეატრის კოლექტივი დამესმარა შინაურ კაცად მეგრძნო თავი თქვენს ქალაქში, გულთბილად მიმიღეს, საინტერესო კოლექტივია, არ გამპირვებია მათთან მუშაობა... ჩვენი შემოქმედებით ჩვენ გვინდა მაყურებელს ერთხელ კიდევ შევასხენოთ საქართველოს ისტორიის ეკლიანი გზა აღსავსე ტრაგიკული კოლოზებითა და გამარჯვებით... რაც შემეხება მე, მეგრამ, მწამს, რომ ბოროტება დიდხანს ვერ იბოგინებს, ხუნტის დღეები დათვლილია და ნებას ღვთისას და ნებას კაცისას ვერავინ წაუჯა.

სექტაკლში დასაქმებულნი არიან თეატრის წამყვანი მსახიობები რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები პეტრე წულაია, ბადრი ცომაია, მზია ტოგონიძე, მსახიობები ზემფირა გუნია, მავალა გელაშვილი, ბელა ვეკუა, ნაზი ფარცვანია, თენგიზ ანდრიაძე, ვალერიან გაბისონია, მერაბ კაკალია, ვახტანგ ქობალია, ზურაბ ლაშვილი...

მაშ, ასე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გელით პრემიერაზე ზუგდიდის თეატრი 30 ივნისს, 1 და 2 ივლისს დასაწყისი 18 საათში.

## სატკიპარი

### რაბო?

ქალაქ ზუგდიდის რკინიგზის ვაგზალი გაუქმებულია. აქ აღარ უქმოდის მატარებელი და რა თქმა უნდა აქედანაც არ გადის.

ზუგდიდის ნატარებლის მგზავრებს ინფორმაციე ფხვით უხდებათ გ. ლა. არ მოძრაობს ავტობუსი.

ზოგიერთის ნათქვამს თუ დავუჯერებთ ზუგდიდის ვაგზალს შეეღრღნა მიიღოს მატარებლის შეკადგენლობა.

ვეკითხებით ვაგზლის ხელმძღვანელს რატომ არ მოძრაობს ჩვენი მატარებელი.

ნ. ჩიტაძე,  
ბ. ზულია,  
ბ. ბაბუა,

## საგლიანის და... იმგლიანის

„საქართველოში გაქრა ღიმილი“—ამ ლექსით დაიწყო კონცერტი ჩვენ საზღვრებში (გამგე ნ. ქირია) უფროსი ჯგუფის აღსაზრდელებმა (აღმზრდელები: ნ. ბუკია, მ. ფაფია, მუსიკის მასწავლებელი მ. ილიაშვილი). კონცერტის მონაწილეებმა ხვთისმშობელ მარიამს შეავდრეს თავისი წილხვედრი საქართველო და საქართველოსთვის ძმთამკვლელ ომში დაღუპული ვაჟაკების ხსოვნის ნათელსაყრფად სანთლები დაანთეს. კონცერტს სევდა ახლდა, თითქოს პატარებიც გრძნობდნენ უფროსების განწყობილებას.

სალამოს ამშვენებდა სიმღერები საშობლოზე, საქართველოზე. მათი შემსრულებლები ზუგდიდელ პატარებთან ერთად აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველი ბავშვებიც იყვნენ.

პატარების თვალეში მომავლის იმედი ციმციმებდა. იმედი იმისა, რომ უფროსები ყველაფერს გააკეთებდნენ რომ ბავშვებს უღრუბლო, ნათელი და კრიალა ზეცა დანათოდეს.

მარინა აბრალაშვილი,  
ალმზრდელი.

## მოცალეოგის შამს

### ყველაზე მხაშიანი

კოლუმბიაში არის ერთგვარი პატარა ბაყაყი, რომელსაც კოკოსის ეძახიან. მისი შხამი 20-ჯერ უფრო ძლიერია იაპონურ თევზ ფუგაზე, ნი-ჭერ მებრძალ კობრაზე, ხოლო ახალი ზელანდიის მებრძალ შხამზე 500-ჯერ.

ორმოცდაათი ისრის მოსაშხამად საქმარისია მხოლოდ ერთი ბაყაყი. ასეთი ისარი მოსაკვდინებლობას ინარჩუნებს 20 წლის განმავლობაში.

ამ ბაყაყზე ევროპაში შეთქმულნი საუკუნის დასაწყისში

## შეიტყვეს.

კოკოსის შხამისაგან აშხადებენ ბატარასოტიკისის, რომელიც წარმატებით გამოიყენება გულისა და ნერვული სისტემის დაავადების დროს.— წერს ჟურნალი „ზღორი“ (№3, 1998 წელი).

აგრომრეწვეანის სამეფო ბანკის ზუგდიდის განყოფილების მომსახურე ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ვაცნობთ, რომ კავკასიის ბირჟაზე გაურკვეველი მიზეზების გამო შეწყვეტილია ყველა სახის საანგარიშსწორებო ოპერაციები და ჩვენს მიერ აღნიშნული ბირჟის მეშვეობით მიმდინარე წლის 14 ივნისიდან გატარებული ოპერაციები შეჩერებული იქნება სათაო ბანკიდან დამატებითი ინფორმაციის მიღებამდე.

აგრომრეწვეანის დირექტორი, სხამფო ბანკის დირექტორი.

## იყიდება ნაავარივი მსუბუქი ავტომანქანა

„მოსკვიჩი მ—2140“. ანგარიშსწორება ნახევარი ნაღდ ანგარიშზე, ნახევარი გადარიცხვით.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №58. ტელ. 2-67-97.

ზუგდიდის ინვალიდთა ასოციაცია.

## ენვერ ქობალიას ხსოვნას

„ადამიანო, ეზადე სიყვდილი-სათვის“— ძველი დროის ფილოსოფოსის ეს შეგონება შეგვახსენებს, რომ დაბადებიდან საფლავის ბილიკამდე განგების ნებით მოზომილი გზა ღირსეულად გავიაროთ.

ენვერ ქობალიამ ისე იცხოვრა ამ წუთისოფელში, რომ თავისი კაცური, ქრისტიანული მისისათვის არასოდეს შეუქცევია ზურგი და ექვის ნატამალიც აღარ გვიჩნდება იმისა, რომ სიყვარულის ნათელ გზაზე წაქცეულს მარადიულ სასუფეველს განუშვადებს უფალი.

ზოგჯერ გვიკვირს: ვინ ან რამ შეგვირისხა, რომ ამ ბოლო დროს მიყოლებით ამდენი საყვარელი, ახლობელი ადამიანების სიყვდილის მოწმე ვხდებით. კიდევ ერთი უზადო ვაჟაკი დაკარგა ეროვნულმა მოძრაობამ, შეწყდა გულისძგერა ადამიანისა, რომლის ხასიათში საოცარი სინატივით იყო ერთმანეთს შერწყმული იღუმალი მელანქოლია და შინაგანი, კაცური ძლიერება. შეიარაღებულ ძალებში, როგორც ერთერთ ხელმძღვანელს, სერიოზული ტვირთის ზიდვა უწევდა, მაგრამ არავის გვაგონდება თუნდაც მცირეოდენი ეპიზოდი, ამის დემონსტრირება მოეხდინოს. უფრო საკვირეო ტვივოლი, გაუსაძლისი, პირქუში ყოფა უთუთქავდა გულს და არაერთგზის ეს ლექსადაც ამოუთქვამს. თბილი, სადა და რაღაცნაირი მუყურო კაცი იყო. თავისი ძლიერი, აღნაგი სხეულობით, უსამართლობასთან შეურიგალი სულით დაატარებდა იმ მარადიულ ცეცხლს, რომელიც ოდიანვე მოხდევდა კოლხი მოლაშქრის გენს. უღალა-

ტო ძმად და თანამოსაზრდელად გვერდით კანონიერებისათვის მებრძოლი შეიარაღებული შენაერთების მთავარსარდალს, თანშეწრდილ ლოთი ქობალიას. საარაკო სიმტიცე და სიხამაცე გამოავლინა სამაჩაბლოს, ამ ძირძველი ქართული მიწის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

იგი ვახლდათ იარაღსხმული სათნობა, რომლისთვისაც უცხო იყო აღწევების შენდებული სურვილი და მიწიერი პრივილეგიების ფარისევლური ძიება. ამავე მეტყველებდა მისი წინეკეთილი ხასიათი, სიმართლის პირში თქმის შინაგანი მოთხოვნითა და მორიდებული ცხოვრების წესი.

მშვიდობით, დაუფიწყარო ენვერ. ვაი, რომ ვერ შეეწრები ოცნებაში გამოტარებულ, ურთიერთისძულვილის საშინელი ურჩხულის დამამარცხებელ ქეშმარიტ საქართველოს, მოძმეთა სულიერ გამთლიანებას. შენი სიყვდილი გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს ჩვენთვის, ვინემ იმათი არსებობა, ვინც დღემდე აგრძელებენ უნდობლობის შხამის ნთხევას, პირადულის სასარგებლოდ ეროვნული ინტერესების გაწირვას.

მშვიდობით ძმაო. ბოლომდე დაგრჩებით მარად ერთგულნი იმ მართალი საქმისა, რომლის საიმედო მოდარაქედ და ჭარისკაცად წლების მანძილზე სატევარივით შემართული იყავი. მარად გიგულვებთ ზეცურ საქართველოში, ჩვენთვის საფიცარი სულიერი ძმების გვერდით.

შენი თანამებრძოლები.

## სსოვნა

### თამაზ შალვას ძე შონია

კვირას, ორმოცი დღე შესრულდება, რაც გამოეთხოვე წუთისოფელს. საქართველოს მთლიანობისათვის გასწირე სიცოცხლე, დაამწუხრე ოჯახი, მეგობრები.

გწამდეს, დავიწყებით არასოდეს დაიბნდება შენი ნათელი

## სარედაქციო კოლეგია

შვილები: ლერი, სვეტა, გულნაზი, ალბერტი, ძმა კოსტა, დები: მელანია, ლენა, ცოცხა, რძლები: ნუნუ კალანდია, მოქონა შონია, ლილი, გერა, ოლია მაქაცარიები, სიძეები შალიკო გულორდავა, შუქური გოგია, შვილიშვილები: ზვიადი, შორენა, ზაალი, ცოლისძმა ცაკე მაქაცარია, ცოლისძმისშვილები: ვიტალი, ვინარი, როინი, ამალი, სვეტა, ვიოლეტა, დისშვილები: გია, მარინა, ლალი, დოდო, იზა, ძმისშვილები: გურამი, ნონა, ქეთო, მადონა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ქვდიამშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ვლადიმერ მელიტონის ძე ჯალალონას

გარდაცვლებას. დაკრძალვა 24 ივნისს, დღით ხუთშაბათს სოფ. რიყეში.

შეგნახველი ბანკის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძობენ ნუნუ და შალერი კვალიავენს ბებების გარდაცვლების გამო.

შეგნახველი ბანკის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძობენ მათი აღშობიის ბაბუს ვანოს გარდაცვლების გამო.